ორგანიზაციის საქმიანობის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება თავისუფლება თანასწორობა DIGNITY LIBERTY EQUALITY სექტემბერი, 2013, №02 (3)

8 სექტემბრის ბრიფინგი

ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებები ორგანიზებული დანაშაულია

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, დააჩაქროს საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის ძალაში შესვლა და დაჩქარებული განხილვის წესით, სისხლის/ადმინისტრაციული სამართლის კოდექსებში შევიდეს ცვლილებები ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების სანქციის გამკაცრებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ბრიფინგზე, ორგანიზაციის იურისტმა, ანა კიკნაძემ განაცხადა.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ბოლო კვირეების განმავლობაში, სხვადასხვა ტელეკომპანიასა და კერძო დაწესებულებებში განხორციელებული ცრუ შეტყობინებები ასაფეთქებელი ნივთიერებების შესახებ, მიზანმიმართული კამპანიის მიშნებს ტოვებს. მიგვაჩნია, რომ შემთხვევით ხდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადაფარვა და საზოგადოებაში მართლწესრიგების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გაჩენა. ცრუ შეტყობინებების ერთ—ერთი მიზანი, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, მოსახლეობის დეორგანიზების მცდელობად მიგვაჩნია. ის ფაქტი, რომ ყველა შეტყობინების ავტორი არასრუწლოვანია, გვაფიქრებინებს, რომ პროცესი მიზანმიმართული და ხელოვნურია.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოვუწოდებთ საქართველოს საზოგადოებას, შეინარჩუნონ სიმშვიდე და კარგად შეფასდეს ის პროვოკაციული ქმედებები, რომელიც ცრუ ტერორიზმის შეტყობინებასთან მიმართებით არსებობს. ამასთან, ორგანიზაცია მიმართავს მშობლებს, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ მოზარდების მიმართ და მიიღონ ყველანაირი პრევენცია, რომელიც მსგავსი ქმედებების აკრძალვას შეეხება. მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობა უნდა გამკაცრდეს და ის მატერიალური ზიანი, რომელიც კერძო ორგანიზაციებს მიადგათ, უნდა ანაზღაურდეს.

ცნობისთვის: შინაგან საქმეთა სამინისტრო საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის. ცვლილებები უნდა შევიდეს სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლსა და ადმინისტრაციულ კოდექსში. ცვლილებების შესაბამისად კი გამკაცრდება იმ ადამიანთა პასუხისმგებლობა, ვინც ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებებს განახორციელებს. ცვლილება შევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და შესაბამისად, ცრუ შეტყობინების ავტორ არასრუწლოვანთა მშობლების მიმართ დაწესდება სოლიდარული ჯარიმა. კოდექსის 331—ე მუხლი, ამ ეტაპზე, 16 წლამდე არასრულწლოვანთათვის, ცრუ შეტყობინების განხორციელების შემთხვევაში, სასჯელს არ ითვალისწინებს, სრულწლოვანებს კი სანქციად ჯარიმა, ან გამოსასწორებელი სამუშაო ეკისრებათ. ის ფაქტი, რომ ყველა ზარის ავტორი 16 წლამდე არასრუწლოვანია, მიუთითებს მხოლოდ იმას, რომ ცრუ შეტყობინებები ტერორიზმის შესახებ, მიზანმიმართული და დაგეგმილი პროვოკაციის შედეგია.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ შსს საზოგადოებას უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, არის თუ არა ცრუ შეტყობინებების შესახებ სატელეფონო ზარები მიზანმიმართული ქმედებები და ვინ შეიძლება იდგეს ქმედებების განხორციელების პროცესში. შეტყობინებების რეგულარული ხასიათი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ადგილი აქვს ორგანიზებულ დანაშაულს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით მეტი ანალიზი გაკეთდეს და საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია მიეწოდოს.

საქართველოს პარლამენტი მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა 2013 წლის 18 სექტემბრიდან დაიწყო.

ორგანიზაციის შეფასება

პრემიერი აძლიერებს სამოქალაქო სექტორს

რადიო „თავისუფლებასთან ინტერვიუში, 2013 წლის 3 სექტემბერს, „ახალგაზრდა ადვოკატების” თანადამფუძნებელმა, არჩილ კაიკაციშვილმა, საქართველოს პრემიერ მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებისადმი მიმართვის მიმართ შეფასება გააკეთა. „არასამთავრობო სექტორის გარკვეულ ნაწილს მაინც მონოპოლისტური მდგომარეობა უჭირავს საფონდო პოლიტიკის მიმართულებით და ეს ვითარება გამოსასწორებელია. თუკი პრემიერი შექმნიდა ფონდს, რომელიც მოემსახურებოდა საუკეთესო საპროექტო წინადადებების დაფინანსებას, ეს იქნებოდა წინგადადგმული ნაბიჯი და დაეხმარებოდა ახალგაზრდა არასამთავრობო სექტორს იმაში, რომ მათ თავიანთი წვლილი შეეტანათ ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო მეტად განვითარებაში, სამოქალაქო განათლების კულტურის ჩამოყალიბებაში და უფლებების მდგრადობის თვალსაზრისით” — განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა.

საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა, თავის ღია წერილში პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე ისუაბრა. ორგანიზაციის იურისტმა, სოფიო ლეჟავამ, მედიასთან საუბარში, არასამთავრობოების ერთობლივ ბრიფინგზე, ორგანიზაციის პოზიცია კიდევ უფრო მეტად დააზუსტა და განაცხადა:

„ჩვენი აზრით, პრემიერის განცხადება გამოირჩეოდა კვალიფიციურობითა და ახალი პოლიტიკური ლიდერისთვის დამახასიათებელი სიღრმით. ჩვენ გვესმის საზოგადოების ნაწილის მოსაზრებების, რომლებიც პრემიერის პოლიტიკიდან წასვლით დაბნეულები და გაურკვევლები არიან, თუმცა როდესაც ასეთი მისაზრებები ისმის, საზოგადოებას უნდა ახსოვდეს, რომ ბიძინა ივანიშვილს საზოგადოებისთვის, წინასაარჩევნო დაპირებებში, პოლიტიკაში ყოფნის ხანგრძლივი ყოფნა არ უთხოვია. ამ ვითარებაში, საზოგადოებას სამოქალაქო პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტის გამოვლენა მართებს, რადგანაც პრემიერ მინისტრმა შექმნა შესაძლებლობები, მმართველობის სისტემა დაეფუძნოს ინსტიტუტების განვითარებას და არა პიროვნებების თვისებებს. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა, სწორედ მართველობის სისტემის დემოკრატიულობას და მდგრადობას შეუწყობს ხელს და მეტ შანსს მისცემს სამოქალაქო საზოგადოებას, განახორციელოს ხელისუფლების მაკონტროლებლის ფუნქცია.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია პოლიტიკიდან წასულმა პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა შექმნას ისეთი შესაძლებლობები, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს სამოქალაქო ჩართულობის გამოვლინებას. ამ მიმართულებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ უპრიანი იქნება სპეციალური ფონდის შექმნა და ისეთი საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების დაფინანსება და განხილვა, რომელიც ქვეყანაში ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობასა და სხვადასხვა მიმართულებით, პროგრამულ შედეგებს მოიტანს. მიმაჩნია, რომ ასეთი ფონდის არსებობა კონკურენციას შემოიტანს დღესდღეობით არსებულ იმ საფონდო პოლიტიკაში, რომელსაც სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობები ანხორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდა არასამთავროპბო ორგანიზაციებს, საერთოდ მოჭრილი აქვთ შესაძლებლობა წარმოდგენილი მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელონ. ასეთმა ვითარებამ არასამთავრობო სექტორში, ერთგვარი მონოპოლისტური მდგომარეობა შექმნა. ამიტომაც, ბიძინა ივანიშვილის მიერ ამ მიმართულებით შესაძლო ფონდის შექმნა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და შეცვლის ვითარებას. დღეს არსებობს იდეების კონკურენცია, თუმცა არ არსებობს თავისუფალი საკონკურსო კომისიები. მიგვაჩნია, რომ პრემიერის სამოქალაქო სექტორში გადმონაცვლებამ სწორედ ეს მანკიერი მიდგომები უნდა შეცვალოს და არ მოახდინოს ინიციატივების მონოპოლიზირება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას პოლიტიკურ შეცდომად არ განიხილავს. პრემიერის წასვლა უდიდესი შენაძენი უნდა გახდეს მთლიანად საზოგადოებისთვის და საქართველოში ახალი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისათვის“ — განაცხადა სოფო ლეჟავამ „პრაიმ თაიმის” პრესკლუბში ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

გამოხმაურება

საქართველოში ამერიკის ელჩმა "ახალგაზრდა ადვოკატებს" მადლობა გადაუხადა

გვ.3

მოკლედ

- ორგანიზაციამ, სექტემბრის თვეში, 7 ბრიფინგი გამართა, ხოლო სხვადასხვა უფლებამოსილი ორგანოსა და პირის მიმართ, მომზადდა და გაგზავნა, სულ 54 წერილი.
- ორგანიზაციამ პროექტ ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებელო, სასამართლო ხელისუფლებასთან შეხვედრა გამართა ევროინტეგრაციის, რეინტეგრაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრებთან.
- ორგანიზაციამ 2011 წლის 11 სექტემბრის აშშ ტერაქტის ფაქტთან დაკავშირებით, თანადგომის წერილი გაუგზავნა აშშ ელჩს საქართველოში. ამერიკის ელჩმა ახალგაზრდა ადვოკატებს მადლობის წერილი გამოუგზავნა.
- ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ მომზადებულ ღონისძიებაში, სოფელ დვანში, საოკუპაციო ხაზთან.
- ორგანიზაციამ 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, გამართა ორი ღონისძიება პატივი მიაგო ჟიული შარტავას ხსოვნას და გმირთა მემორიალი შეამკო ყვავილებით, გაავრცელა სპეციალური განცხადება მთავრობის მიმართ და მოითხოვა ომის ვეტერანებისთვის სოციალური პაკეტის გაზრდა.
- ორგანიზაციამ ქალაქ ბათუმში გამართა ორი კვლევის ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შესახებ პრეზენტაცია
- ორგანიზაციამ შეხვედრა მოაწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან და მათ გააცნო უფლებადაცვითი საქმიანობა, შესათავაზა თანამშრომლობა
- ორგანიზაციამ, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ლენტეხის მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრაში საპროტესტო აქციის მონაწილეებსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის.
- ორგანიზაციამ მოამზადა პროექტი: აქტიური მოქალაქე ანგარიშვალდებული მთავრობა, რომლის ფარგლებშიც მომზადდება მონიტორინგი და გამოქვეყნდება საქართველოს ყველა სამინისტროში 20112013 წლებში მოქალაქეების განცხადების მიმართვინობის, დაკმაყოფილების, ადმინისტრაციული საჩივრების რაოდენობის სტატისტიკა.
- ორგანიზაციამ მოამზადა საპროექტი წინადადება: ადგილობრივი ლიდერები, რომელიც განკუთვნილია მცხეთის მუნიციპალიტეტის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის საუკეთესო ანალიტიკური თემების მომზადებისთვის.
- ორგანიზაციამ მოამზადა საპროექტო წინადადება: მოსწავლეთა თვითმმართველობების საქმიანობის გაძლიერება კერძო სკოლების ეფექტური მმართველობისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის.
- ორგანიზაციამ მოამზადა ინიციატივა: საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი. სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდება ქ. თბილისში, 500 რესპოდენტთან, შედეგები გამოქვეყნდება 15 ოქტომბრამდე.
- ორგანიზაციამ მოამზადა სამოქალაქო კამპანიის თემა: შენი უფლებები, რომელიც გამოიცემა ბროშურის სახით და დარიგდება მოქალაქეებში. გზამკვლევი მიეძღვნება იურიდიული საკითხების გაშუქებას, რომელიც სადღეისოდ აქტუალურია.
- ორგანიზაციამ მოამზადა საარჩევნო გაზეთის იდეა: შენ ირჩევ პრეზიდენტს, რომელიც სამოქლაქო გავრცელების/კამპანიის ფარგლებში დარიგდება თბილისში.
- თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყო ორგანიზაციის სარჩელის განხილვა სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ სამსახურიდან ირაკლი ქველაძის უკანონო გათავისუფლების ფაქტეზე.
- ორგანიზაციამ სექტემბრის თვეში განახორციელა 4 იურიდიული კონსულტაცია.
- ორგანიზაციის წევრებმა მონანილეობა მიიღეს საგადასახადო კოდექსის ცვლილებებისთვის მომზადებულ ორგანიზაცია 42 მუხლის კონფერენციაში.
- ორგანიზაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობოთა ინიციატივის: ერთი პროცენტის კანონის საჯარო განხილვასა და პრეზენტაციაში.
- ორგანიზაციამ მომზადებული და გამოქვეყნებული კვლევები გაიგზავნა სხვადასხვა საჯარო უწყებას. აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა დაიწყო მოკლვევა ქობულეთის საკრებულოსა და კოლეჯის შესახებ გამოქვეყნებულ კვლევებში მოტანილ ფაქტებზე.

14 სექტემბრის ბრიფინგი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ პარლამენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაშლისკენ მოუწოდებს

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, რათა დაიწყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის ძირეული შესწავლა და განახორციელოს კანონით მინიჭებული კონტროლი. ორგანიზაცია მოითხოვს, მომზადდეს ახალი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც არხის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას შეუჩერებს, ღია კონკურსის საფუძველზე მოხდება არხის მმართველობითი ორგანოს არჩევა და მაუწყებელი გახდება სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებისა და ცხოვრების რეალური გამომხატველი. ამის შესახებ 14 სექტემბრის ბრიფინგზე, ორგანიზაციის თანადამფუძნებელმა, არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა.

არჩილ კაიკაციშვილის შეფასებით, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რას საქმიანობს საკუთარი ფინანსური თანამონაწილეობით შექმნილი არხი, რამდენად პასუხობს ტელევიზიის სამეურვეო საბჭო ხალხის მოთხოვნებს, რა ღირებულებისაა თითოეული საავტორო თუ საპროგრამო გადაცემა, რამდენად მიზნობრივია საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი. მოქალაქეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, თავად განსაზღვრონ არხის პრიორიტეტები და პოლიტიკა.

სამწუხაროდ, მოქმედი სამეურვეო საბჭოს არც ერთ წევრს, საზოგადოების უმეტესობა არ იცნობს, უცნობია მათი გამოცდილება და კომპეტენცია, მიღებული გადაწყვეტილებები და მიუკერძოებლობის საკითხი. ორგანიზაცია შენიშნავს, რომ ტელევიზიის დღევანდელი სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერით შეიქმნა, რომლის წევრებიც, სხვადასხვა დროს, გამოხატავდნენ ამ პარტიის ინტერესებს, გაჩნდათ მკაფიო პოლიტიკური შეხედულებები და მოცემულ ეტაპზე, სამეურვეო საბჭო კვლავ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ინტერესებების გამომხატველია.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ვფიქრობთ, რომ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული მოვლენები იმ პოლიტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილია, რითაც საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს ტელევიზიის საკუთარი შესაძლებლობებისთვის გამოყენებას და მაუწყებელში მართვის ბერკეტების სრულად დაბრუნებას.

სამეურვეო საბჭომ გიორგი ბარათაშვილის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთა შეასრულა. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს ფაქტის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებზე და მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია, სასამართლომ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების სამართლებრივ სიზუსტეზე მკაფიო დასაბუთება წარმოადგინოს, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობით, მაუწყებელზე სამეურვეო საბჭოს საქმიანობა უნდა შეფასდეს მაღალი უნდობლობით და მიუღებლობით.

ორგანიზაცია მოითხოვს, დადგეს მოქმედი სამეურვეო საბჭოს შეცვლისა და პასუხისმგებლობის საკითხი, რადგანაც დღეს, საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებული მდგომარეობა, არხს ერთპარტიული დემოკრატიის პირობებში ამყოფებს.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ სწორედ მოქმედი სამეურვეო საბჭოს „დამსახურებაა“ ის ფაქტიც, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი დაშორდა საზოგადოების რეალურ ინტერესებს და უკანასკნელი წლების მანძილზე, ვერ უზრუნველყო დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესრულება. არხმა ვერ შეძლო უზრუნველეყო სარედაქციო დამოუკიდებლობა, სწორი პროგრამული პრიორიტეტების შემოტანა, საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილება საზოგადოებრივ—პოლიტიკური გადაცემების მრავალფეროვნებით, რადგანაც ასეთი სურვილი და არც პოლიტიკური ნება, არ ყოფილა. შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებელის იდეა მხოლოდ საკანონმდებლო ჩანაწერებად დარჩა, არხმა კი, რეალური ფუნქცია, პარტიული ტელევიზიის სანაცვლოდ დათმო.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოვუწოდებთ პარლამენტს, რათა არ დაუშვას საზოგადოებრივ მაუწყებელზე პარტიული ინტერესებების გატარება და არხის ოპოზიციის ხელში გადასვლა. პარლამენტის საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩეული ორგანოა, რომელიც, საზოგადოებრივი აზრის განხორციელებას, მოქალაქეების მიერ შექმნილ საზოგადოებრივ მაუწყებელზეც უნდა ანხორციელებდეს.

მართალია, საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 12 ივლისს, „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონში, შეიტანა ცვლილება და სამეურვეო საბჭოს წევრთა არჩევის უფლებამოსილება აღარ იქნება ერთპიროვნული. თუმცა, „ახალგაზრდა ადვოკატები“ ამ ცვლილებების მოქმედი სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაზე გავრცელებასა და დაუყოვნებლივ ამოქმედებას მოითხოვს.

24 სექტემბრის ბრიფინგი

თბილისის მერია „ლიფტების საქმესთან“ დაკავშირებით, საეჭვო კორუფციულ გარიგებებშია

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ვეხმაურებით თბილისის მოსახლეობის ერთ—ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც მაღალსართულიან ბინებში ექსპლუატაციიდან გამოსული ლიფტების ბიზნესს უკავშირდება. ორგანიზაცია სამართლიანს უწოდებს მოსახლეობის პროტესტს, რა დროსაც, თბილისის მთავრობა ავარიული და ტექნიკურად გაუმართავი ლიფტების შეკეთებისთვის/ექსპლუატაციისთვის უყურადღებობას იჩენს, მეორე მხრივ კი სფეროზე პასუხისმგებელ კერძო კომპანიებთან საეჭვო კორუფციულ გარიგებებში იმყოფება. ამის შესახებ გამართულ ბრიფინგზე, ორგანიზაციის იურისტმა, სოფიო ლეჟავამ განაცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ აზრით, კომპანიები, რომლეთა ვალდებულებაცაა მაღალსართულიან ბინებში ლიფტების გამართული მუშაობა უზრუნველყოს, ფატქობრივად, უმოქმედონი არიან. კერძოდ, ასეთია შესწავლილი საკითხების ჩამონათვალი:

• აღნიშნული კომპანიები, პრაქტიკულად უმოქმედო ლიფტებით ხალხს ძარცვავენ, რადგან მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს ე.წ. „ჩაყლაპულ“ 5 და 10 თეთრებზე;

• ლიფტით სარგებლობა, ხშირ შემთხვევაში, ერთ მოქალაქეს, 20-30 თეთრი უჯდება, რაც 2-3 სულიანი ოჯახისათვის, თვეში 25-30 ლარს შეადგენს;

• ხშირია მგზავრობის დროს, ლიფტების ავარიული გაჩერება, სამაშველო სამსახურის გამოძახება. ავარიულ მდგომარეობაში არსებული ლიფტები, საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ხოლო უბედური შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, ლიფტების მუშაობაზე პასუხისმგებელ კომპანიას სანქცია არ ეკისრება;

• არ ხდება ლიფტების გამართულ მუშაობაზე პასუხისმეგებელ კომპანიებზე ნებართვების ან ლიცენზიების გაცემა, რითაც თბილისის მერია სრულ ლოიალობას გამოხატავს პრობლემის მიმართ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიიჩნევს, რომ მაღალსართულიან ბინებში ლიფტების გამართულობაზე პასუხისმგებელი კომპანიები თბილისის მერიასთან დაახლოებული ჯგუფების ხელშია და „ლიფტების საქმიდან“ შემოსული ფინანსების გამჭვირვალობა და ხარჯვითი ნაწილი, კორუფციულ ნიშნებს ატარებს. ორგანიზაცია, მოსახლეობის აზრის გათვალსინინებითაც, საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ აღნიშნული კომპანიები დღემდე მოქმდებენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თუ მოქმედი მაღალი თანამდებობის პირების ინტერესებით და ახალი ხელისუფლების პირობებში მწვავედ დასმული ეს საყოფაცხოვრებო პრობლემა, ხელოვნურად და მიზანმიმართულად დაგეგმილი ქმედება იყოს.

კომპანიები აგრძელებენ ხალხის ძართვას და შესაძლოა, ლიფტებიდან მიღებულ შემოსავალს პოლიტიკურ ინტერესებსაც ახმარდნენ. ამასთან, არ გამოვრიცხავთ ადგილი ქონდეს კომპანიების მხრიდან გადასახადებისგან თავის არიდებასაც, რადგან არანაირი კონტროლის მექანიზმი არ არსებობს, თუ რა შემოსავლებს ფლობს ეს კომპანიები. მოშლილია იმის კონტროლიც, თუ ერთი კვირის განმავლობაში, რამდენჯერ ივსება ლიფტის ყულაბები, რამდენია მისი შემოსავალი და ხდება თუ არა ამ შემოსავლების შესაბამისად, კომპანიების მხრიდან ბიუჯეტში გადასახადების გადახდა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მივმართავთ თბილსიის მერიას და მოვითხოვთ:

• შემოღებულ იქნას ნებართვები ან ლიცენზიები ამ კომპანიებისთვის;

• კომპანიებს მოეთხოვოთ „ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა“, რაც შეამცირებს ფატალური შედეგების ალბათობას.

ორგანიზაცია, აგრეთვე გამოითხოვს საჯარო ინფორმაციას და დაადგენს, თუ რა საექსპლოატაციო ხარჯებთან არის დაკავშირებული არსებული მდგომარეობით ლიფტების მუშაობა, რა შემოსავლები მიმღებია მოქმედი კომპანიები ბაზარზე და რა მოგების მარჟაზე შესაძლებელია იყოს საუბარი.

28 სექტემბრის ბრიფინგი

თავდაცვის სამინისტრო ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე კვლავ სდუმს

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის ფაქტს კიდევ ერთხელ ვეხმაურებით. ორგანიზაცია, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიუთითებს, რომ 16—22 სექტემბრის შუალედში, 330 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტი კვლავ დაფიქსირდა, კერძოდ 31—ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე—11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში. ბოლო პერიოდში, ჯარისკაცების მოწამვლის გახშირებული ფაქტები, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებაში არსებული პრობლემები გამოუსწორებელია და შეცვლილი მენეჯმენტი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ლოჯისტიკის სფეროში არსებული საკითხების შესაბამის გადაწყვეტას და ხარვეზების აღმოფხვრას.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ კიდევ ერთხელ მივმართავთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე, მინისტრს, სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდებს. მართალია, კომპანია „ქართული კვების“ მენეჯმენტი შეიცვალა, რომელიც თავდაცვის სფეროში კვებითი უზრუნველყოფის მიმართულებით, ერთ—ერთი მთავარი კონტრაქტორია, თუმცა სამხედრო მოსამსახურეების საკვები პროდუქტებით მოწამვლის ფაქტი კვლავ სისტემურ პრობლემად რჩება. ორგანიზაცია სამინისტროს კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით კონტროლის გაძლიერებისკენ ისევ მოუწოდებს და მიმართავს, დააყენოს კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობა და თითოეული გამოვლენილი შემთხვევის მიმართ, ჰქონდეს მკაცრი რეაგირება, ვინაიდან საზოგადოებისთვის უცნობია, რომელი კომპანიები იღებენ პასუხისმგებლობას უწყებაში ლოჯისტიკის სფეროს ეფექტურ მუშაობასა და უსაფრთხოებაზე, როდემდე უნდა გრძელდებოდეს ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები და არ ხდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების პასუხიმგებლობის საკითხის დასმა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, უკვე მერამდენედ ვეხმაურებით თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის სფეროში არსებულ ვითარებას. ორგანიზაცია სრულად იზიარებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც საკითხზე მსჯელობას და დასაბუთებას ახლავს. 2013 წლის 31 ივლისს გამართულ ბრიფინგზე, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საზოგადოებას მივაწოდეთ ინფორმაცია საკვები პროდუქტებით მოწამვლის გაუხმაურებელი შემთხვევის შესახებ, რომელიც სენაკის სამხედრო ბაზაზე მოხდა. მაშინ მოიწამლა 52 ჯარისკაცი და ფაქტი 25 ივლისს მოხდა. განცხადებას სამინისტროს ზოგიერთმა უფლებამოსილმა პირმა დაუსაბუთებელი უწოდა, თუმცა მოგვიანებით, სამინისტრომ, თავისი წერილით, სენაკის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცთა მოწამვლის ფაქტი დაადასტურა და 2013 წლის 23 აგვისტოს წერილით ცნობილი გახდა, რომ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დანიშნულია ექსპერტიზა და მიმდინარეობს გამოძიება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, მოცემულ შემთხვევაშიც უტყუარს უწოდებს 320 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტს 31—ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე—11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში. შესაბამისად, ორგანიზაცია გამოთქვამს იმედს, რომ სამინისტრო ფაქტის მიჩქმალვას არ შეეცდება.



საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

23. 08 2013 წ.

№ 7/2940

„ბ-ნ ახალგაზრდა ადვოკატების“
ხელმძღვანელს არჩილ კაიკაციშვილს

(მის: ქ. თბილისი, სანზონიანი, ვაჩნაძის ქ.№7)

პატივცემულო არჩილ,

თქვენი 2013 წლის 30 ივლისის „ა.ა №142 განცხადების (№1-5491 02.08.2013) პირველი პუნქტის პასუხად გაცნობებთ, რომ სენაკის სამხედრო ბაზაზე 2013 წლის 25 ივლისს ჯარისკაცთა მოწამვლის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე, დანიშნული ექსპერტიზა და მიმდინარეობს გამოძიება.

ამასთან, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დაცულ და ერთიანეთთან დაკავშირებულ ცალკეულ მოსაცლებს, რომელთა მოძიებას და დამუშავებას საჭიროებს გარკვეული დროის. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ინფორმაციის დამუშავებით მოგაწვდით უახლოეს მომავალში.

პატივისცემით,

კონსტანტინე ყიფიანი
სამინისტროს უფროსის
მოადგილის, შეკრულებულად

პროექტი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ინსტიტუციური დიალოგში აღმასრულებელ ხელისუფლებასთან

***„ახალგაზრდა ადვოკატები“ პროექტ „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ფარგლებში, სექტემბრის თვეში, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს, ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილსა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ დავით დარახველიძეს შეხვდნენ. პროექტის ფარგლებში, ეს ორგანიზაციის მიერ სექტემბრიუს თვეში გამართული სამი შეხვედრა იყო. პროექტი აგვისტოდან დაიწყო და მიზანს წარმოადგენს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ინსტიტუციების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება, საჯარო უწყებების გამჭვირვალობა და ურთიერთობის უწყვეტობა საზოგადოებასთან, მაღალი საჯარო ინტერესის უზრუნველყოფა, ახალგაზრდების თანამონაწილეობა საჯარო მმართველობის პროცესში და ინსტიტუციური დიალოგის, როგორც კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში.**

ორგანიზაციის შეფასებით, ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან პირველი შემთხვევაა, რომელიც ახლებურად წარმოაჩენს და ხელს შეუწყობს საჯარო უწყების ანგარიშვალდებულების გაზრდას საზოგადოების წინაშე და ახლგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფას საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატრების“ პროექტი მუდმივმოქმედი ფორმატი იქნება და ყოველთვიურად, რამდენიმე შეხვედრა მომზადდება. ინიციატივის ფორმატი ქართული სინამდვილისთვის ახალია, რომელსაც ანალოგი, მხოლოდ უნგრეთში, ესპანეთსა და ბელგიაში გააჩნია. ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ უკვე მიიღეს საჭირო კონსულტაცია აღნიშნული ქვეყნების ეროვნული ჯგუფებისგანაც და დაგეგმილია მათთან კომუნიკაციით, გამოცდილების კიდევ უფრო მეტად გათვალისწინება.

დიალოგი პაატა ზაქარეიშვილთან

დიალოგის მთავარი თემები იყო საქართველოს რეინტეგრაციის საკითხები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები, დეოკუპაცია, აფხაზი, ოსი და ქართველი ეროვნების წარმომადგენლების დაახლოებისთვის სახელმწიფო პოლიტიკა, მთავრობის მიერ დაგეგმილი ინიციატივები და სამომავლო ღონისძიებები კონფლიქტურ რეგიონებში სამშვიდობო პროცესისათვის, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარი პრობლემების და საკითხების განხილვა, ქართულ-რუსული ურთიერთობები და სამშვიდობო მისიები, სხვა. ორგანიზაციამ ყველა კითხვაზე მინისტრისგან ამომწურავი პასუხი მიიღო „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ რეინტეგრაციის მინისტრს სოფელ დიცში არსებული ვითარება გააცნეს. ორგანიზაცია კონფილიქტის ზონაში 8 აგვისტოს იმყოფებოდა და ადგილობრივი მოსახლეობის არსებულ პრობლემებს გაეცნო.

დიალოგი დავით დარახველიძესთან

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მინისტრს დღეისათვის აქტუალური შეკითხვები დაუსვეს. დიალოგის მთავარი საკითხები გახლდათ: სამინისტროს ახალი პოლიტიკა ადგილნაცვალი პირების სოციალურ-ეკონომიკურ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გაუმჯობესების მიმართულებით, სამინისტროს ახალი ხედვა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ადგილნაცვალი პირების რეინტეგრაციის მიმართულებით, სამინისტროს ახალი პოლიტიკის პერსპექტივები და მოლოდინები დევნილთა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბრუნების მიმართულებით, სამინისტროს საერთაშორისო და რეგიონალური კავშირების გამოყენების შესაძლებლობა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონებთან მჭიდრო კავშირების მიმართულებით, სამინისტროს ბიუჯეტის პრიორიტეტები და შესაბამისობები ადგილნაცვალი მოსახლეობის საჭიროებებთან მიმართებით, სამინისტროს საკადრო პოლიტიკა, დევნილთა თანამონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ამ მიმართლებებით უახლოესი გეგმები, სამინისტროს პოლიტიკის შეფასება 90-იანი წლების და 2008 წლის აგვისტოს ომის დევნილი მოსახლეობის მიმართულებით, სამინისტროს დამოკიდებულება ევროკავშირის რეკომენდაციებთან და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის ლიბერალიზაციასთან მიმართებით, ადგილნაცვალ პირთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში ზოგიერთი პრობლემური ჩანაწერი, სამინსიტროს გეგმა, მიზნები და ამოცანები დევნილი მოსახლეობის დასახლების, კომუნალური პრობლემების, ბინათმფლობელობის, ბინათმესაკუთრეობის, კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებთან მიმართებით, ადგილნაცვალი ახალგაზრდა თაობის თანამონაწილეობის ხარისხის შეფასება მიმდინარე პროექტებში და სამინისტროს 2014 წლის პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის მიღება.

შეხვედრა ალექსი პეტრიაშვილთან

2013 წლის 23 სექტემბერს, ორგანიზაციის წარმომადგენლები ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, ალექსი პეტრიაშვილს შეხვდნენ. ორგანიზაციამ მინისტრს დღეისათვის აქტუალური შეკითხვები დაუსვა. დიალოგის მთავარი თემები გახლდათ: აღმოსავლეთ პარტნიორობის არაფორმალურ მინისტერიალში მონაწილეობის შეჯამება; ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების საკითხი; ევროკავშირის სტანდარტიზაციის პროცესის მნიშვნელობა; საქართველოსთან მიმართებით პრორუსული და ევროპული პოლიტიკის შეჯერება, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და საქართველოს მიმართ პარტნიორი ქვეყნების დამოკიდებულება, ქვეყნის საშინაო პოლიტიკის შესაბამისობა საგარეო პოლიტიკურ გამოწვევებთან, ევროკავშირსა და ნატო — საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივები, საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება ახალი ხელისუფლების პირობებში გაწეული საქმიანობის შესახებ, ევროპულ ქვეყნებში ელჩების დანიშვნის საკითხი; საქართველოს კანონდმებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესი; ევრაზიის კავშირის შესაძლებლობები, საქართველოს ახალი ხელისუფლების რეგიონალური პოლიტიკის შეფასება, საქართველოს ახალი ხელისუფლების ევროპული კურსის გამოძახილი/შეფასება საერთაშორისო საზოგადოებაში/სამთავრობო წრეებში.

გამოხმაურება



Embassy of the United States of America

Tbilisi, Georgia

September 19, 2013

Archil Kaikatsishvili
Co-Founder
Young Barristers
Vazisubani Str. #7
Tbilisi, Georgia

Dear Mr. Kaikatsishvili:

Thank you for sharing your thoughts on the twelfth anniversary of the September 11, 2001 tragedy. Your sentiments mean a great deal to us, and we deeply appreciate Georgia's steadfast support and shared values in combating terrorism wherever it may appear.

Sincerely,

Richard B. Norland
Ambassador

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS
ღირსება თავისუფლება თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

Date: 11/09/2013

Internal Registration Number: 215

Dear Mr. Richard Norland

As September 11th approaches us once again, we would like to join in in the remembrance of this unfortunate tragedy that changed the entire world.

During this painful time, we would also like to convey our deepest condolences to the families of all the innocent victims of these attacks and express our sympathy and support to their loved ones.
Kind regards,

Kind regards,

Archil Kaikatsishvili

Human Rights NGO "Young Barristers"
Co-Founder, Head

საქართველოში ამერიკის ელჩმა „ახალგაზრდა ადვოკატებს“ მადლობა გადაუხადა

„ახალგაზრდა ადვოკატებმა” საქართველოში ამერიკის ელჩს, რიჩარდ ნორლანდს ღია წერილი გაუგზვანა, რითაც 2011 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიას გამოეხმაურა და კიდევ ერთხელ გამოხატა თანადგომა. ორგანიზაციამ მიიღო ბატონი რიჩარდ ნორლანდის წერილი, სადაც გამოხატული მხარდაჭერისთვის მადლობაა გამოხატული.

ჩატარებული კვლევა

მთავრობამ „ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევა ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამჭვირვალობაზე შესასწავლად სახელმწიფო აუდიტს გადაუგზავნა

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის 2012 წლის საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის შესახებ, 2013 წლის 3 სექტემბერს, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, კვლევის შედეგები წარმოადგინეს. ორგანიზაციამ მომზადებული კვლევა რეაგირებისთვის საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, აჭარის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას უკვე გადაუგზავნა. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 სექტემბრის წერილით „ახალგაზრდა ადვოკატებისთვის” ცნობილი გახდა, რომ პრემიერის აპარატმა დასკვნა შემდგომი რეაგირებისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გადაუგზავნა. კვლევა ბათუმში, ორგანიზაციის წევრებმა: არჩილ კაიკაციშვილმა, ჯაბა სირაბიძემ, ანა კიკნაძემ და მარიამ ნეფარიძემ წარმოადგინეს.

დოკუმენტში ვრცლადაა განხილული 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, განხორციელებული პროგრამები, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხარჯვითი ნაწილი, სატენდერო გარემო, მივლინებები, მიღებული პრემიები, საჯარო მოხელეთა მიმდინარე შრომითი ანაზღაურება, თვითმმართველობის ორგანოს პილიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხი და გაღებული საოფისე ხარჯები. ორგანიზაცია წარმოდგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი მასალების საფუძველზე, აქვეყნებს დასკვნას და სარეკომენდაციო ნაწილს, რომლითაც მოუწოდებს საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას განახორციელოს ეფექტური კონტროლი და მუნიციპალურ მთავრობას უზრუნველყოს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემური საკითხების გონივრულ ვადებში აღმოფხვრა, საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოს აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ეფექტური კონტროლის ფუნქციის შესრულება და ამ მიმართულებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის შემოწმება 2012 წლის მანძილზე განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მიზნობრიობასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს სრულყოფილი აუდიტი ქობულეთის მუნიციპალიტეტში, 2012 წლის მანძილზე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის ნაწილში, რადგანაც ასეთი აუცილებლობა განპირობებულია იმ ბუნდოვანი მემკვიდრეობით თუ ვითარებით, რომელსაც წინ უსწრებდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების პირველი პირების დაკავებას სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არსებული დარღვევების გამო. ორგანიზაციის პოზიციით, უნდა გაგრძელდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი შტოთა საქმიანობის შემოწმება/კონტროლი და საზოგადოებას მიეწოდოს ობიექტური ინფორმაცია საკითხებზე, რომელიც უკავშირდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მიზნობრიობას, სატენდერო კომისიის მუშაობის გამჭვირვალობას და განხორციელებული თუ მიმდინარე პროგრამების შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ყურადღებას მიაქცევს 2012 წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის სიმწირეზე. მნიშვნელოვანია, საჯარო გახდეს სფეროს/პრობლემის ბიუჯეტირების საკითხი და ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების გადაწყვეტილებების პროცესში, ჩართული აღმოჩნდეს ადგილობრივი საზოგადოება. მონიტორინგმა ცხადყო, რომ ადგილობრივი მთავრობა მიმართავს პრობლემური საკითხების პროგრამირების პროცესს, თუმცა განხორციელების პროცესში, არ არსებობს ეფექტური მექანიზმი, რითაც ფინანსური გამჭვირვალობა მაღალი საზოგადოებრივი ნდობით ისარგებლებდა.

სამწუხაროდ, ადგილობრივი თვითმმართველობა ბიუჯეტის შედგენის პროცესში, პრიორიტეტების განსაზღვრის დროს, ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივი ამომრჩევლების ინტერესებს, საჭიროებებს და გამართლებული არ არის, ადგილობრივი ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მიმართული იყოს მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე და ნაკლები ყურადღება ეთმობოდეს მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებას. ამასთან, მონიტორინგის განხორციელების პროცესში, აშკარაა დისკრიმინაციული

მიდგომები ქალაქად და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილების მიმართ. ერთადერთი, „სოფლის დახმარების პროგრამა“, ვერ უზრუნველყოფს სოფლად მაცხოვრებელთა ინტერესების დაკმაყოფილებას. არ არსებობს კონკრეტული მიდგომები, რომელიც სოფლის გაძლიერებისა და წახალისების მაგალითებს უზრუნველყოფდა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში, გზის დაგებისა და მოწესრიგების საკითხები კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება, რომლისთვისაც, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, 2012 წლის მანძილზე, ყურადღება არ მიუქცევია. მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის მიერ ადმინისტრაციული ხარჯები, ოფისის ხარჯები, მივლინებებსა და პრემიების სახით გაღებული ფინანსები მოითხოვს გადახედვას და არ პასუხობს საზოგადოებრივ ინტერესს. შრომითი ანაზღაურების ნაწილში ყურადრებას იპყრობს შტატგარეშე მოსამსახურეების ანაზღაურებაც, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე გაზრდილი სახელფასო სარგო. ორგანიზაციის პოზიციაა, შეფასდეს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს ბიუჯეტიდან გაღებული თანხების საჭიროებებთან შესაბამისობა და ამ მიმართულებით, ზოგიერთი პროექტის შესრულების გამჭვირვალობა. ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტს, ადგილობრივ მთავრობას არავითარი ქმედითი გადაწყვეტილებისთვის არ მიუმართავს მუნიციპალიტეტში, 2012 წლის ერთ—ერთი ყველაზე მწვავე საკითხის გადაწყვეტისთვის, როდესაც საჯაროდ გახდა ცნობილი მუნიციპალიტეტში, 300—მდე ოჯახის მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, დღის წესრიგში დადგა ოჯახების იპოთეკური დავალიანების გამო, ოჯახების გამოსახლებისა და მათდამი მზრუნველობის საკითხი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ყურადღებას ამახვილებს ტენდერების საკითხზე და აღნიშნავს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მხრიდან მოწოდებულ არცერთ დოკუმენტში აღნიშნული არ არის კონკრეტულ შესყიდვაში მონაწილე კომპანია. აღნიშნული საკითხი ცალკე შესწავლას და დაზუსტებას მოითხოვს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობის ჯეროვან ინფორმირებას განხორციელებული პროგრამების ხელმისაწვდომობისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ. მონიტორინგის პროცესში, ორგანიზაციამ საფუძვლიანად შეისწავლა თვითმმართველობის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხიც. მოინტორინგის შედეგები ასაბუთებს, რომ ქობულეთის საკრებულომ ადგილობრივი მკვიდრის, თამარ კაიკაციშვილის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების საქმეში მხარდამჭერი საკრებულოს წევრი, თემურ ჯინჭარაძე პასუხიმგებლობის მიღმა დატოვა. კვლევაში მოტანილი არაერთი მტკიცებულება ადასტურებს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედმა თავმჯდომარემ, ელგუჯა ბაგრატიონმა არ გამოიჩინა კანონისმიერი პასუხისმგებლობა და არ მოახდინა საქმეზე ყოველმხრივი გამოკვლევა, ობიექტური გადაწყვეტილებების მიღება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ადგილობრივ თვითმმართველობას 12 სარეკომენდაციო წინადადებით და საჭიროებად მიჩნეული 15 პროგრამის/პროექტის განხორციელების ინიციატივით მიმართავენ. ცნობისთვის: ორგანიზაციამ კვლევა 2013 წლის დასაწყისში დაიწყო. შესწავლილ იქნა საკრებულოს მიერ 2012 წლის მანძილზე მიღებული 31 დადგენილება და 272 განკარგულება. კვლევის პრეზენტაცია ბათუმში, დემოკრატიის ჩართულობის ცენტრში გაიმართა.

კვლევის სარეკომენდაციო ნაწილი

საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას

საქართველოს აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ უზრუნველყოს ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ეფექტური კონტროლის ფუნქციის შესრულება და ამ მიმართულებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის შემოწმება 2012 წლის მანძილზე განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მიზნობრიობასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს სრულყოფილი აუდიტი ქობულეთის მუნიციპალიტეტში, 2012 წლის მანძილზე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის ნაწილში, რადგანაც ასეთი აუცილებლობა განპირობებულია იმ ბუნდოვანი მემკვიდრეობით თუ ვითარებით, რომელსაც წინ უსწრებდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების პირველი პირების დაკავებას სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არსებული დარღვევების გამო. თუკი არსებობს კომპეტენტური ორგანოების კანონიერი ინტერესი და 2013 წლის ივლისში, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა დაპატიმრების ღონისძიება, ერთი მოსაზრებით, არ ემსახურებოდა შერჩევით სამართალს, ასეთი მოსაზრების საპირწონედ, სახელმწიფოს შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოები მზადყოფნას უნდა გამოთქვამდნენ, რათა გაგრძელდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი შტოთა საქმიანობის შემოწმება/კონტროლი და საზოგადოებას მიეწოდოს ობიექტური ინფორმაცია საკითხებზე, რომელიც უკავშირდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მიზნობრიობას, სატენდერო კომისიის მუშაობის გამჭვირვალობას და განხორციელებული თუ მიმდინარე პროგრამების შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, 2012 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების სახეობების გასაჯაროება და სატენდერო კონკურსში მონაწილე/გამარჯვებული კომპანიების გამოქვეყნება 2013 წლის 1 ოქტომბრამდე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ—გვერდზე.

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წარმოადგინოს 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული პროექტების/პროგრამების საჭიროების ექსპერტული დასკვნა და განმარტოს, არჩეული პრიორიტეტების მიზანშეწონილობა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებთან მიმართებით

3.ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა განმარტონ შტატგარეშე თანამშრომელთა საჭიროება საქმიანობის განხორციელების პროცესში და გამოაქვეყნონ ინფორმაცია მათი საქმიანობის ტიპის შესახებ.

4.ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა საზოგადოებისთვის საჯარო გახადონ განხორციელებული მივლინებების პერიოდები, მიზნობრიობა, ტიპი და მასში მონაწილე საჯარო მოსამსახურეთა შემადგენლობა.

5.ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა უზრუნველყონ 2012 წლის მანძილზე ადგილობრივ მოქალაქეებთან შეხვედრების სტატისტიკის გამოქვეყნება და მათი მიმართვიანობის შედეგად, დაკმაყოფილებული საქმეების/საკითხების შინაარსობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოქვეყნება 2013 წლის 1 ოქტომბრამდე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ—გვერდზე.

6.ქობულეთის საკრებულომ უზრუნველყოს არსებული საზოგადოებრივი დარბაზის შემადგენლობის გადახალისება და გაფართოება, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ადგილობრივი საზოგადოებისთვის ავტორიტეტული ადამიანები, სამოქალაქო სექტორის ფართო წრე, დარგის სპეციალისტები, თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები. მნიშვნელოვანია, გაფართოვდეს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტილებებში და ადგილობრივმა მთავრობამ დაიწყოს ფართო დიალოგი მოქალაქეებთან მუნიციპალური პროექტების/პროგრამების განხორციელების განხორციელებისას.

7.ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა გადახედონ პრემიებით უზრუნველყოფის საკითხს. პრემიით უზრუნველყოფა კანონით გარანტირებული უფ-

(დასასრული 5 გვ.)

ჩატარებული კვლევა

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში ნეპოტიზმისა და უკანონო გადაწყვეტილებების სკანდალური ფაქტები გამოავლინა

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ გამოქვეყნებული კვლევა: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს მთავრობამ შემდგომი მოკლვევისა და რეაგირებისათვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ სამსახურებს გადაუგზავნა. ორგანიზაციამ კვლევის პრეზენტაცია ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, 2013 წლის 5 სექტემბერს, იურისტების: მარიამ ნეფარიძისა და ანა კიკნაძის მონაწილეობით გამართა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა, პროფესიული სასწავლებელში ნეპოტიზმის ფაქტები და მიღებული უკანონო გადაწყვეტილებები აღმოაჩინა. ორგანიზაციის დასკვნით, ადგილი აქვს სისტემურ და სამართლებრივ პრობლემებს, რომელიც არ პასუხობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად მოთხოვნებს და ღირებულებებს, დემოკრატიულ და საჯარო მმართელობის პრინციპებზე, მთლიანად უგულვებელყოფილია ადამიანური რესურსების მმართვის სამართლიანი მოდელი, მოშლილია სასწავლებლის შიდა დემოკრატია და დეცენტრალიზაცია, ეფექტიანი მმართველობა კი ჩანაცვლებულია კოლეჯის ადმინისტრაციულ თანამდებობებსა და სხვადასხვა სფეროს თანამშრომლების კონკურსების გარეშე დანიშვნასთან, გამოვლენილია ადამიანების დაწინაურება მათთან ოჯახური, ნათესაური, მეზობლური და ახლო ურთიერთობების გაზიარებით, რაც სცილდება განათლების რეფორმის გამჭვირვალობის პრინციპებს და სამართლიანობის სტანდარტებს, საქართველოს დაახლოებას „კოპენჰაგენის დეკლარაციასთან“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტის „პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო - პროფესიული სტანდარტების“ დებულებებს, რომელიც ადგენს ავტონომიურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მაღალ სტანდარტებს პროფესიული სასწავლებლებისთვის და პროფესიული განათლების განვითარებისთვის საქართველოში. კვლევას უკვე გაეცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც, ფაქტებზე კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად ემზადება. სამინისტროში სასწავლებლის დირექტორის დავით მჭედლიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი უკვე დაისვა, რითაც თამარ სანიკიძის უწყება სისტემაში სამართლიანობის აღდგენის პროცესს გააგრძელებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ გამოქვეყნებული კვლევა სკანდალურია. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, სასწავლებლის 70-წევრიანი შემადგენლობიდან, 45-ზე მეტი თანამშრომელი ოჯახის წევრი ან/და ნათესავია. გამოვლინდა ნეპოტიზმის ფაქტების ყველაზე დიდი შემთხვევა, რომელიც განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ კოლეჯში არსებობს. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საზოგადოებას მტკიცებულებები წარუდგინეს:

(დასასრული 6 გვ.)

ჩატარებული კვლევა

მთავრობამ „ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევა ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამჭვირვალობაზე შესასწავლად სახელმწიფო აუდიტს გადაუგზავნა

(დასაწყისი 4 გვ.)

ლებაა, თუმცა კანონით ნებადართული უფლების გამოყენება უნდა პასუხობდეს შესრულებული ვალდებულებების იმ ხარისხს, რომელიც გამართლებულს გახდის საჯარო მოსამსახურეთა პრემიებით უზრუნველყოფას და შესაბამისობაში იქნება საზოგადოებრივ ინტერესთან

8.ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ეფექტური კომუნიკაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მეშვეობით. ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, გამოთქვამს კრიტიკულ პოზიციაც და მიაჩნია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების საქმიანობის მიმართ ნდობის ხარისხი განპირობებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების არაეფექტური მუშაობით. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს „ადგილობრივ საჯარო საქმეებში მოქალაქეთა მონაწილეობის თაობაზე“ ევროსაბჭოს 2001 წლის 6 დეკემბრის ადგილობრივი მთავრობებისათვის მიღებული დოკუმენტის მნიშვნელობაზე და აუცილებლად მიიჩნევს, თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებმა უზრუნველყონ მაღალი კომუნიკაციის ხარისხი მოქალაქეებთან, მედიასთან, სამოქალაქო ჯგუფებთან, არასამთავრობო სექტორთან და შექმნან საქმიანობის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგია.

9.ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებმა იზრუნონ საჯარო მოსამსახურეთა შესაძლებლობების განვითარებისა და პროფესიული კურსების მიმართულებით სპეციალური პროგრამის ამოქმედებისათვის. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში დასაქმებულთა რაოდენობის მიზანშეწონილობის საკითხზეც და თვითმმართველობას მიმართავს, უპირატესობა მიანიჭოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით თანამშრომელთა მიღებას ღია კონკურსების საფუძველზე. მონიტორინგმა ცხადყო, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტი უპიარტესობა არ ანიჭებს ღია კონკურსების გზით თანამშრომელთა მიღების შესაძლებლობას.



საქართველოს მთავრობის
კანცელარია

CHANCELLERY OF THE
GOVERNMENT OF GEORGIA

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს

ასლი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატს

ასლი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურს

ასლი: ახალგაზრდა ადვოკატებს
ქ. თბილისი, ვაზისუბნის ქ. N7

გიგზავნით საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე საქართველოს მთავრობის კანცელარიაში მიმდინარე წლის 9 სექტემბერს ა(ა)იპ "ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელის მარიკა არეგვაძის N28960 წერილს აჭარის რეგიონში განხორციელებული მონიტორინგის თაობაზე.

გთხოვთ განიხილოთ და უზრუნველყოთ შესაბამისი რეაგირება თქვენი კომპეტენციის შესაბამისად.

დანართი: 70 ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
საქმისწარმოების სამსახურის უფროსი
ლევან ერიკაშვილი

№29214
10.09.2013

10.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მმართველობითმა ორგანოებმა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაიზიაროს მაჟორიტარი დეპუტატის ცალკეული ხედვები, რომლებიც დაკავშირებული იქნება პროგრამული სფეროების მდგრადობასთან და მუნიციპალური პოლიტიკის განხორციელების პროცესში, შექმნის თანამონაწილეობისა და თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკას.

11.ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანომ საჯარო და ღია მმართველობის პრინციპებიდან გამომდინარე, განუხრელად დაიცვან კანონმდებლობით გათვალისწინებული პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უარი თქვან მანკიერ პრაქტიკაზე, რომელიც არსებობდა 2004—2012 წლის ცენტრალიზებული მმართველობის პერიოდისთვის.

12.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, დაიწყოს ადგილობრივ საზოგადოებასთან სტრუქტურული დიალოგი თვითმმართველი ქალაქის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების, მიზნობრივი პროგრამებისა და საჭიროებების ობიექტურად შეფასებისა და ფორმულირების გზით. ამ მიმართულებით, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართელობის ბიუჯეტი უნდა გახდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისი და ფართო დიალოგის ფარგლებში, საზოგადოებრივმა წრეებმა მიიღოს გადაწყვეტილებები შემდეგ მნიშვნელოვან წინადადებებზე:

- მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობის გაძლიერებისა და წახალისების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეთნიკური უმცირესობების დაცვისა და მათი ინტეგრირების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილნაცვალი პირების პირობების გაუმჯობესების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ხანდაზმული ადამიანების სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- იპოთეკური დავალიანების მქონე მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის სპეციალური პროგრამის შექმნის საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ერთჯერადი საზაფხულო დასაქმების პროგრამის ამოქმედების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემის გაძლიერებისა და მოტივირების სპეციალური პროგრამის ამოქმედების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება და სახელობითი სტიპენდიების დაწესება წარმატებული ქობულეთელი პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისათვის
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის, უფასო სამედიცინო დიაგნოსტიკის სპეციალური პროგრამის ამოქმედების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება და წამყვანი ქართული სამედიცინო კლინიკის სპეციალისტების მონვევა
- სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის პარკინგის განახლების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.
- მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის გაზიფიკაციის საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიებისა და ნაკრძალების განვითარებისა და ტურისტული მიმზიდველობის შესახებ სპეციალური პროგრამის ამოქმედების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური ნაგეობებობის რესტავრაციისა და ხელშეწყობის სპეციალური პროგრამის ამოქმედების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებისა და ნაგებობების რეაბილიტაციის საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.

ჩატარებული კვლევა

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში ნეპოტიზმისა და უკანონო გადაწყვეტილებების სკანდალური ფაქტები გამოავლინა

(დასაწყისი 5გვ.)

1. კახა ბოლქვაძე - კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, იმავე დროს კოლეჯში ერთადერთი აიტი ტექნოლოგიების სპეციალისტი, დირექტორის მეუღლის მამიდაშვილი
2. ნათია ტაკიძე, შესყიდვების მენეჯერი, დირექტორის დისშვილის მეუღლე
3. ლაშა ხახუტაიშვილი, პრაქტიკების მენეჯერი, ბარმენთა ჯგუფის პედაგოგი, დირექტორის დისშვილი.
4. ირმა გოგიტიძე, კოლეჯში პირველადი დახმარების საათების პედაგოგი, მთავარი ექთანი, დირექტორის მეუღლე.
5. ბიჭიკო ჯინჭარაძე, კოლეჯის კვების ბლოკის საწყობის ხელმძღვანელი, სამეურნეო საქმიანობაში ნდობით აღჭურვილი პირი, დირექტორის ბიძაშვილი.
6. თალიკო რევაზიშვილი, კოლეჯის ბიბლიოთეკარი, დირექტორის ახლო ნათესავის, ბიჭიკო ჯინჭარაძის მეუღლე.
7. აკაკი ანანიძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის მამიდაშვილი.
8. ინგა ანანიძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის ახლო ნათესავის, აკაკი ანანიძის მეუღლე.
9. ინდიკო ჯინჭარაძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის ბიძაშვილი
10. რომან მემარნე, საინჟინრო მიმართულების სპეციალისტი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.
11. დავით წულუკიძე, კოლეჯის ავტო-დიაგნოსტიკის სპეციალობის პედაგოგი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.
12. ეთერ ანანიძე, კოლეჯის პედაგოგი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დირექტორის თანასოფლელი და მეზობელი.
13. ვაჟა წულუკიძე, კოლეჯის პედაგოგი, დირექტორის თანასოფლელი და ახლო მეგობარი.
14. მირანდა კომახიძე, კოლეჯის პიარ-სამსახურის უფროსი, აჭარის მთავრობის ერთ-ერთი თანამდებობის პირისა და გამგებლის ყოფილი მოადგილის და.
15. მზია კომახიძე, კოლეჯის უცხო ენების პედაგოგი, კოლეჯის პიარმენეჯერის და.
16. სოფო გოგმაჩაძე, საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი, დირექტორის თანასოფლელი და მეზობელი.
17. თეა აბრამიშვილი, კოლეჯის დამხმარე თანამშრომელი, დირექტორის მეგობარის მეუღლე.
18. ნიკოლოზ ცეცხლაძე, კოლეჯის სამეურნეო დარგის მუშაკი, თეა აბრამიშვილის მაზლი.
19. ნათია კახიძე, საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი, დირექტორის მეგობრის ცოლი და „ნაც.მოძრაობასთან“ დაახლოებული ბიზნესმენების ჭყონიების რძალი.
20. ჭაბუკი ვერულიძე, კოლეჯის იურისტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ყოფილი მოადგილე სულხან მოწყობილის სიძე.
21. სოფო მოწყობილი, კოლეჯის საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი, კოლეჯის იურისტის, ჭაბუკი ვერულიძის ცოლი.
22. სოფო რომანაძე, კოლეჯის პროფორიენტაციის მენეჯერი, დირექტორის უახლოესი გარემოცვა და ნათესავი, ბიზნესში ცნობილი ჭყონიების ოჯახის რძალი. (არა თემურ ჭყონიასი)
23. სარდიონ (ზურა) დიასამიძე, კოლეჯის მთავარი ბუღალტერი, დირექტორის საახლობლო წრიდან.
24. ნელი გუგუნავა, სასწავლო მმართვის მენეჯერი, დირექტორის უახოესი გარემოცვა, რომელიც 30 წელზე მეტია მუშაობს კოლეჯში.
25. გიული გოხიძე, საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგი. ნელი გუგუნავას ახლო ნათესავი.
26. ლელა მესხიძე, საინფორმაციო ცენტრის ადმინისტრატორი, შეთავსებით სასტუმრო საქმის პედაგოგი, ნელი გუგუნავას ახლო ნათესავი.
27. ნანა ღუდუშაური, კოლეჯის ტურიზმის სფეროს პედაგოგი, ნელი გუგუნავას შვილი.
28. თინათინ (მანანა) გაგუა, მზარეულის სპეციალობის პედაგოგი, დირექტორის ოჯახის უახლოესი წევრი.
29. ინგა ჟიჟავაძე, საკონდიტრო სპეციალობის პედაგოგი, დირექტორის ახლო მეზობელი, ოჯახის უახლოესი გარემოცვა.
30. ედნარ ვერულიძე, კოლეჯის დარაჯი, დირექტორის მეზობელი, ოჯახის უახლოესი გარემოცვა.
31. მზია ქათამაძე, სასტუმრო საქმის პედაგოგი, დირექტორის უახლოესი გარემოცვა.
32. ამირან ათაბაძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, მზია ქათამაძის მეუღლე.
33. ზაზა მეგრელიძე, კოლეჯის სამეურნეო სფეროს მენეჯერი. დირექტორის ოჯახის უახლოესი გარემოცვა.
34. ირმა მეგრელიძე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. ზაზა მეგრელიძის და.
35. მაია ნოღაიდელი, სარესტორნო საქმის პედაგოგი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.
36. ეთერი კუცია, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, მაია ნოღაიდელის დედამთილი.
37. მალხაზ კუცია, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, მაია ნოღაიდელის ქმარი.
38. ნინო ბეჭვაია, კოლეჯის სარესტორნო საქმის პედაგოგი, ნლების განმავლობაში კოლეჯის სტუდენტური კაფე-ბარის მმართველი. დირექტორის უახლოესი გარემოცვა.
39. თემურ ქორიძე, კოლეჯის საინჟინრო მიმართულების პედაგოგი, ნინო ბეჭვაიას მეუღლე.
40. ვაჟა ქათამაძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის უახლოესი გარემოცვა.
41. მაია ქათამაძე, კოლეჯის რუსული ენის პედაგოგი, ვაჟა ქათამაძის მეუღლე.
42. ნატო რომანაძე, კოლეჯის ტუროპერატორის ჯგუფის და საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.
43. ნანა რომანაძე, ოფისის მენეჯერის ჯგუფის და საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგი, ნატო რომანაძის და.
44. ამირან გოგიტიძე, მძიმე ტექნიკის ოპერატორების ჯგუფის პედაგოგი. დირექტორის უახლოესი გარემოცვა, თანასოფლელი და მეზობელი.
45. მიხეილ ჯინჭარაძე, მძიმე ტექნიკის ოპერატორების ჯგუფის პედაგოგი. დირექტორის უახლოესი გარემოცვა, თანასოფლელი და მეზობელი.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ადმინისტრაცია წარმოსდგება შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით მჭედლიშვილი - დირექტორი
2. ნელი გუგუნავა - დირექტორის მოადგილე (დირექტორის საიმედო კადრი, თანამშრომელი 30 წლის მანძილზე)
3. ეთერ ანანიძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი (დირექტორის თანასოფლელი და მეზობელი)
4. სარდიონ დიასამიძე - ბუღალტერი (დირექტორის საახლობლო წრე)
5. ჭაბუკი ვერულიძე - იურისტი (დირექტორის საახლობლო წრე)
6. ლუიზა რომანაძე - პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯერი (დირექტორის სამეგობრო წრე)
7. ზაზა მეგრელიძე - მატერიალური რესურსების მენეჯერი (დირექტორის საახლობლო წრე)
8. ანა ალექსეევი - დირექტორის თანაშემწე (დირექტორის უახლოესი წრე)
9. ირმა მეგრელიძე - პროგრამებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი (დირექტორის უახლოესი წრე)
10. ლაშა ხახუტაიშვილი - სასტუმროს ადმინისტრატორი (დირექტორის დისშვილი)

11. მირანდა კომახიძე - პიარსამსახური (დირექტორის უახლოესი წრე, დანიშვნის დორისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის და)
12. ნათია ტაკიძე - შესყიდვების მენეჯერი (დირექტორის დისშვილის მეუღლე)
13. თამილა თედორაძე - დარგობრივი მიმართულების კოორდინატორი (ბიზნეს ადმინისტრირება) (დირექტორის უახლოესი წრე)
14. რომან მემარნე - დარგობრივი მიმართულების კოორდინატორი (საინჟინრო) (დირექტორის თანასოფლელი და ოჯახის ახლობელი)

„ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევაში სასწავლებლის მოქმედი დირექტორის წარსულიც მოხვდა. აღმოჩნდა, რომ დავით მჭედლიშვილმა დირექტორის თანამდებობა ყოფილ ხელისუფლებასთან სიახლოვითა და განათლების სამინისტროს პირველ პირებთან წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობებით შეინარჩუნა. კოლეჯის დირექტორი 2003 წლის არჩევნების დროს ხელმძღვანელობდა ქობულეთის საოლქო უბანს, რომელმაც არჩევნები „ნაციონალური მოძრაობის” სასარგებლოდ გადაწყვიტა. განსაკუთრებული აქტიურობა შესამჩნევი იყო 2008 წლის იანვრისა და მაისის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს, როცა საუბნო კომისიის წევრი იყო და „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ კამპანიას აწარმოებდა. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს, დავით მჭედლიშვილი გავიდა ოფიციალურ შვებულებაში და ქობულეთში „ნაციონალური მოძრაობის” ღია მხარდამჭერის ფუნქცია შეასრულა. კოლეჯის დირექტორმა ყოფილი მმართველი პარტიის ადგილობრივ მაჟორიტარ კანდიდატ გელა ცხომელიძესთან ერთად, არაერთი შეხვედრა გამართა ადგილობრივ ამომრჩეველთან, რასაც ადასტურებს საინფორმაციო სააგენტო „ინფო-9” - ის მიერ ადგილზე გადაღებული კადრებიც. დირექტორმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გამართვამდე, პროფესიული კოლეჯი ყოფილი მმართველი პარტიის საუბნო კომისიის წევრების შეხვედრებისა და კონსულტაციების ადგილადაც აქცია, სადაც მიმდინარეობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ადგილობრივი მხარდამჭერების ტრენინგები და გადამზადება. მეტიც, დადასტურებული ფაქტია, როდესაც კოლეჯის თანამშრომელი, საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი, თეონა მენაფირე გახდა თვითგამოცხადებული „ინფო-9”-ის ჟურნალისტი ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან. კოლეჯის თანამშრომელმა ერთ თვეზე მეტი დროით მიიღო შვებულება და აქტიურად ჩაერთო მაშინდელი ოპოზიციის - „ქართული ოცნების” მოსახლეობასთან შეხვედრების ხელშეშლა და და მიკერძოებულ გაშუქებაში. კოლეჯის დირექტორი, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 2012 წლის 30 სექტემბერს, პრეზიდენტის ღირსების მედლითაც დაჯილდოვდა. ოფიციალური ვერსიით, დირექტორმა აღნიშნული მაღალი სახელმწიფოებრივი ჯილდო ტურიზმის განვითარებისთვის მიიღო, თუმცა არსებობს მაღალი ალბათობა, რომ კოლეჯის დირექტორი პოლიტიკური ერთგულებისთვის დააჯილდოვეს, რადგანაც ასეთი ჯილდოს გადაცემა მოხდა არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, რა დროსაც, ტურიზმის დამსახურებისთვის სახელმწიფო ჯილდოს გადაცემის ლეგიტიმური ეჭვი, პრაქტიკულად არ არსებობდა. კოლეჯის დირექტორმა, 2012 წლის 19 ოქტომბერს, უშუალოდ უხელმძღვანელა სასწავლებლის ეზოში სტუდენტებისა და თანამშრომლების მონაწილეობით გამართულ საპროტესტო აქციას და სიტყვით მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს, თუმცა კოლეჯის ადმინისტრაცია, მოთხოვნის მიუხედავად, არ გამოჯვნია თამარ კაიკაციშვილის ფოტოს სასწავლებლის ეზოში საჯაროდ დაწვის ფაქტს. ამ ღონისძიებას, ხელმძღვანელობა კოლეჯის პიარ-სამსახურის ხელმძღვანელმა მირანდა კომახიძემ გაუწია, ასევე, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყოფილ მოადგილესთან პიროვნულ დაპირისპირებაში კოლეჯის თანამშრომლებმა: ნელი გუგუნავამ, ეთერ ანანიძემ, მანანა გაგუამ. 2012 წლის 14 ივნისს, კოლეჯის დირექტორი მოადგილეთან აუდიო-ჩანაწერში, კოლეჯის დირექტორი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სამინისტროდან მიღებული დავალების შემსრულებელია. სასამართლო ეტაპზეც დადასტურებულია ფაქტი, რა დროსაც, დირექტორი, 2012 წლის 6 ივნისს, სამინისტროდან, თამარ კაიკაციშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილებით ბრუნდება და მოადგილეს პირადი განცხადების საფუძველზე წასვლას სთხოვს. თამარ კაიკაციშვილის გათავისუფლებაში სამინისტროს როლზე საუბრობს კოლეჯის საქმისმწარმოებელი ანა ალექსეევი და კოლეჯის იურისტი ჭაბუკი ვერულიძე. დირექტორმა მოადგილის გათავისუფლების საკითხზე პირველი სატელეფონო შეტყობინება სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, ლალი ებანოიძესგან მიიღო. სამინისტროს როლი თამარ კაიკაციშვილის საქმეში დაადასტურა ლალი ებანოიძის 2012 წლის 28 ნოემბრის წერილმა, სადაც პირდაპირ იქნა აღნიშნული, რომ „სამინისტრომ, ამ თემაზე აკრძალა ყოველგვარი კომენტარი გაკეთება.“ წერილი სამინისტროს დღევანდელი მესვეურებისთვის საჯარო ადვოკატმა არჩილ კაიკაციშვილმა გახადა, ლალი ებანოიძემ კი უფლებადამცველს, სოციალურ ქსელებში, ამის გამო, „ნამუსგარეცხილი“ უწოდა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ განათლებია და მეცნიერების სამინისტროდან კონკრეტულ რეაგირებას მოითხოვენ. კვლევაში სარეკომენდაციო ნაწილიც გამოქვეყნდა. კერძოდ, ორგანიზაცია მოითხოვს:

1. სამინისტროს შიდა აუდიტისა და გენერალური ინსპექციის სამსახურებმა განახორციელონ ეფექტური კონტროლი კოლეჯ „ახალ ტალღაში“ არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სამართლებრივი გადაწყვეტილებების სამართლიანობის დადგენის მიმართ, მათ შორის მნიშვნელოვანია განხორციელდეს ფინანსური აუდიტი, რათა საზოგადოებას ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია კოლეჯის დაქვემდებარებაში არსებული უძრავი და მოძრავი საკუთრების განკარგვის კანონიერებასთან და პირადი სარგებლიანობის შესაძლო ფაქტების დადგენის მიზნით. სამინისტრომ კოლეჯის მიმართ კანონით მინიჭებული კონტროლის უფლებამოსილება განახორციელოს მყისიერად, რათა არ მოხდეს მონიტორინგის შედეგად საჯაროდ გამხდარი ფაქტების დაფარვა, გადაწყვეტილებების შეცვლა და შესაძლო მოქმედებების განხორციელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის სასწავლებლის გამჭვირვალობას და რეალობის დადგენას.
2. სამინისტრომ, სასწავლებელში გამოვლენილი შესაძლო დარღვევებისა და გადაცდომების აღმოჩენის გარკვევამდე, დასვას კოლეჯის მოქმედი დირექტორის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი და სამინისტროს შიდა აუდიტისა და გენერალური ინსპექციის დასკვნამდე, მოქმედ დირექტორს შეუჩერდეს დირექტორის მოვალეობის შესრულება.
3. სამინისტრომ უზრუნველყოს კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ღია, თავისუფალ და გამჭვირვალე აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადება.
4. სამინისტრომ, კანონიერი ნდობის აღდგენის მიზნით, სარეკომენდაციო წინადადებები განახორციელოს გონივრულ ვადებში, 2013 წლის 1 ნოემბრამდე.

განცხადება

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აფხაზეთის ომის ვეტერანებისთვის სოციალური შეღავათების დანიშვნას მოითხოვს

2013 წლის 27 სექტემბერს, ორგანიზაია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გამართეს და მთავრობას განცხადებით მიმართეს. კერძოდ, ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს მთავრობას, რათა ყურადღება გამახვილდეს აფხაზეთის ომის ვეტერანებისთვის სოციალური შეღავათების დანიშვნის აუცილებლობაზე და სოციალური პაკეტების შეთავაზებაზე საუბრობენ. ორგანიზაციის შეფასებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ ომის ვეტერანებსა და ომში დაღუპულ გმირთა ოჯახებს სერიოზული პრობლემები აქვთ. მათ შორის, სოციალური, სადაზღვევო და დასაქმების კუთხით, სოციალური შეღავათები კი, რომლითაც ეს პირები სარგებლობდნენ, 2005 წელს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების გამო გაუქმდა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ინიციატივით მივმართავთ საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, შეიმუშაონ სოციალური შეღავათების სისტემა და კანონში შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ, რომლის საფუძველზეც, ომის ვეტერანები და ომში დაღუპული გმირების ოჯახები სოციალური შეღავათებით ისარგებლებენ.

ორგანიზაცია მთავრობას სთავაზობს, რომ ომის ვეტერანებს და ომში დაღუპული გმირების ოჯახებს შემდგომი სახის შეღავათები უნდა დაუწესდეთ: წყლის, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანის, გაზის, ელექტროენერგიის, ტელეფონის სააბონენტო გადასახადების. აგრეთვე ქალაქში საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობის. სოფლად -საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას საფლავს, ხოლო შემდგომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის დაღუპულთა გმირთა მემორიალს.

„აქტიური მოქალაქე – ანგარიშვალდებული მთავრობა“

„ახალგარზდა ადვოკატებმა“ ახალი ინიციატივის განხორციელება დაიწყეს, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს ყველა სამინისტროს ოფიციალური შეტყობინება უკვე გაეგზავნა. ინიციატივის მიზანია გამოავლინოს სტატისტიკა, თუ როგორ ურთიერთობენ მოქალაქეები საჯარო უწყებებთან. კერძოდ, სამინისტროებიდან მოთხოვნილ იქნა შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი მოქალაქის განცხადება დარეგისტრირდა?

2. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი რეგისტრირებულ განცხადებას უპასუხა საჯარო ადმინისტრაციულმა ორგანომ?

3. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული რამდენი განცხადებაა ამჟამად განხილვის პროცესში?

4. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი ადმინისტრაციული საჩივარი შემოვიდა? რა სტატისტიკა არსებობს მათი განხილვის დროს?

5. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, რამდენი მოქალაქის განცხადება იყო რეგისტრირებული?

6. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, რამდენი ადმინისტრაციული საჩივარი განიხილა ორგანომ?

მონიტორინგის შედეგები ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ “ერთი პროცენტის კანონის“ განხილვაში ჩაერთო

სასტუმრო “თბილისი მარიოტში” არასამთავრო ორგანიზაციათა კოალიციის “ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისთვის” ორგანიზებით ღია ფორუმი გაიმართა, სადაც “ერთი პროცენტის კანონის” საქართველოში განხორციელების პერსპექტივები იქნა განხილული. ფორუმზე 100-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ღია წერილს მოაწერეს ხელი და პრეზიდენტობის კანდიდატებს აღნიშნული იდეის მხარდაჭერისაკენ მოუწოდეს.

ცნობისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან შემდგარმა კოალიციამ “ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისათვის” გასულ კვირას დაიწყო კამპანია “ერთი პროცენტის კანონი - საქართველოს დროა”, რომლის ფარგლებშიც კოალიცია გეგმავს შეხვედრებს, როგორც წარმომადგენლობით ორგანოსთან, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

“კამპანიის “ერთი პროცენტის კანონი - საქართველოს დროა” მიზანია, ფინანსურად და პოლიტიკურად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. პირდაპირი დემოკრატიის განვითარება და საზოგადოებაში არსებული მწვავე სოციალური პრობლემების დროულად გადაწყვეტა.

ერთი პროცენტის კანონი გულისხმობს საშემოსავლო და მოგების გადასახადების გადამხდელებისათვის შესაძლებლობის მიცემას, რომ გადახდილი გადასახადიდან 1%-ი მიმართონ მათთვის სასურველი არასამთავრობო ორგანიზაციის დასაფინანსებლად. მაგალითისათვის, როდესაც 20%-ს იხდით საშემოსავლო გადასახადის სახით, საშუალება გექნებათ, რომ გადახდილი 20%-დან ერთი პროცენტი მიმართოთ თქვენთვის მოსაწონი არასამთავრობო ორგანიზაციის დასაფინანსებლად. კამპანიის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში 15 000-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციისათვის ხელმისაწვდომი გახდება 27 260 000 ლარი.

ერთი პროცენტის კანონი სამი უმთავრესი მიზნის მიღწევას ემსახურება. პირველ რიგში, ერთი პროცენტის კანონის მიზანია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება ფინანსური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გზით. მეორე და ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მიზანია პირდაპირი დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა გადასახადების გადამხდელებისათვის შესაძლებლობის მიცემით, რომ საკუთარი გადასახადიდან 1%-ის ფარგლებში თავადვე გადაწყვიტონ თუ რომელ არასამთავრობო ორგანიზაციას დააფინანსებენ. მესამე მიზანს წარმოადგენს მწვავე სოციალური ფონის შემსუბუქება ახალი სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნისა და სოციალურად ორიენტირებული პროექტების რაოდენობის გაზრდის საშუალებით.

2013 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით, 1%-ის კანონის რეალიზების შემთხვევაში მოხდება სამოქალაქო საზოგადოებისათვის 27 260 000 ლარიანი ფონდის მობილიზება. შესაბამისად, შესაძლებელი იქნება 500 ლარიანი ხელფასის პირობებში, რაც მინიმუმ 3-ჯერ აღემატება ქვეყანაში არსებულ საარსებობო მინიმუმს, 2000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა და ეს ყოველივე ერთი წლის განმავლობაში მოითხოვს 12 მილიონიანი სახელფასო ფონდის შექმნას მთლიანი არასამთავრობო სექტორისათვის (ხელფასებზე გაცემული ხარჯები იქნება 1%-ის კანონის ფარგლებში ორგანიზებული მთლიანი ფონდის 44%-ი, ხოლო დარჩენილი 56%-ი მოხმარდება არასამთავრობო ორგანიზაციების საპროექტო ხარჯებს).

15 სექტემბრის ბრიფინგი

არასამთავრობოები იუსტიციის მინისტრს ლენტეხში ჩასვლას და ადგილზე სიტუაციის გარკვევას ურჩევენ

არასამთავრობო ორგანიზაციათა თემატური ჯგუფი, რომლებმაც ლენტეხის მუნიციპალიტეტში ადგილზე ჩასვლით გაეცნენ ლენტეხის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტს, აუცილებლად მიიჩნევენ საკითხით საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დაინტერესდეს. ორგანიზაციათა თემატური ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მინისტრი ლენტეხში ჩავიდეს და პრობლემას ადგილობრივებთან დიალოგში გაეცნოს, რადგანაც არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი მასალები ცხადყოფს, რომ გამგებლის გათავისუფლება, დიდი ალბათობით, კანონდარღვევით განხორციელდა, ხოლო აღნიშნული ფაქტი პირდაპირ ეწინააღმდეგება მთავრობის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციას, სადაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ, იმპიჩმენტის და მსგავსი პროცესების განხორციელება აკრძალულია.

ორგანიზაციები მოუწოდებენ იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს, როგორც ბოლნისში, ასევე ლენტეხშიც ადგილზე გაეცნოს მდგომარეობას.

გასულ კვირას, არასმთავრობო ორგანიზაციები და უწყებათაშორისი კომისიის წევრები ჩასულები იყვნენ ლენტეხში, სადაც ადგილზე იქნა შესწავლილი არსებული მდგომარეობა. დოკუმენტების გაცნობისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მესვეურებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ გამგებლის გადაყენება დარღვევებით მოხდა. ამის თაობაზე არც ერთი სამართლებრივი დოკუმენტი არ შესულა ძალაში და თავად იმპიჩმენტის პროცედურაც კანონის დარღვევით განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურამ დაიწყო საქმის გამოძიება ლენტეხის საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და როგორც ჩანს, შეიძლება გამოიკვეთოს საკრებულოს თავმჯდომარის და ამჟამინდელი გამგებლის დანაშაულებრივი ქმედებები.

ორგანიზაციები: “უფლებადამცველთა გაერთიანება”, “ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია—აფბა”, „ახალგაზრდა ადვოკატები“, „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი”, “საერთაშორისო იდეოლოგიური ფორუმი” და “ეკოტეკი” მოითხოვენ სიცხადე შევიდეს ლენტეხის საკრებულის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში და რეაგირებისთვის იუსტიციის მინისტრს მიმართავენ.

შიდა ტრენინგი

ორგანიზაციის გუნდის ყოველწლიური შიდა ტრენინგი

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ორგანიზაციის სტრატეგიული ხედვისა და საქმისწარმოების დოკუმენტის „დემოკრატია და უფლებები საქართველოში 2012—2015“ სრულყოფისა და საქმანობის მდგრადობის მიზნით, 2013 წლის 21 სექტემბერს, ყოველწლიური, სამუშაო გუნდის შიდა ტრენინგი გამართეს. ორგანიზაციაში შიდა სემინარის მიზანია შესაძლებლობების შეფასება, ადამიანური რესურსის სწორი განვითარება, მმართველობის მენეჯმენტის დახვეწა, გამოწვევების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბება და გადაწყვეტილებების პროცესში პასუხისმგებლობის დადგენა. სემინარის თემა სპეციალურია და მომზადებულია „ინსტიტუციონალური განვითარება და ორგანიზაციის გამყარება“ East Foundation 2007-2010 საკონსულტაციო მასალაზე დაყრდნობით. (Management for Development Foundation, The Netherlands). შიდა ტრენინგის დავალებების შესრულების შედეგად დგება „საქმინაობის დაგეგმარებისა და სტრატეგიული განვითარების შეფასების“ დოკუმენტი, რომელიც სახელმძღვანელოა „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდის თითოეული წევრისთვის და გადაწყვეტილებებისთვის.

თანამშრომლობის შეთავაზება

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდნენ

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლები, 2013 წლის 20 სექტემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრა თსუ-ს მეორე კორპუსში გაიმართა, სადაც გაცნობილ იქნა უფლებადაცვითი ორგანიზაციის საქმიანობა, მიმდინარე და დასრულებული პროექტები, ორგანიზაციის სტრუქტურა და სასამართლო ინსტანციებში წარმოებული საქმეების სტატისტიკა. შეხვედრაზე ორგანიზაციამ თსუ—ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შესთავაზა პროექტის მომზადება — „სტუდენტები გამჭვირვალე სტუდენტური თვითმმაართველობისთვის“. როგორც „ახალგაზრდა ადვოკატების“ ერთ—ერთმა ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა, სტუდენტური თვითმმართველობები ყველა უმაღლეს სასწავლებელში საუნივერსიტეტო ცხოვრების ერთ—ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, საკუთარი შეხედულებების რეალიება მოახდინონ, ხოლო თვითმმართველობის გამჭვირვალობა მუდმივად უნდა იქნეს შემოწმებული, რათა არ მოხდეს დასახული პრიორიტეტებიდან და მიზნებიდან გადასვლა და სტუდენტური ინტერესებისთვის გამოყოფილი ფინანსები სტუდნეტების ინტერესების შესაბამისად დაიხარჯოს. ორგანიზაციამ სტუდენტებს ჩართულობა შესთავაზა და საუკეთესო საპროექტო წინადადებების განხორციელების მხარდაჭერა გამოთქვა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, მსგავსი შეხვედრები ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებთანაც გაიმართება. ორგანიზაცია დაინტერესებულია საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარებითა და მიღწევებით. ამ თვალსაზრისით კი, „ახალგაზრდა ადვოკატები“ აქტუალური თემების ირგვლივ უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს საჭირო საკვლევ დოკუმენტებსაც გადასცემენ. არჩილ კაიკაციშვილი საუნივერსიტეტო სტუდენტური მედია—გამოცემების დახურვის ფაქტსაც შეეხო და აღნიშნა, რომ სტუდენტური გაზეთების დახურვით, 2009—2010 წელს დანაშაულებრივი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ორგანიზაციამ სტუდენტებს მედია—გამოცემების აღდგენის წინანადებაც შესთავაზა და აღინიშნა, რომ სტუდენტების წინაშე არსებულ ყველა პრობლემურ საკითხს, თსუ—ის რექტორთან შეხვედრის დროს დააყენებენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა შეხვედრით კმაყოფილება გამოხატეს. საპროექტო წინადადებების მიღებისთვის, ორგანიზაციაში, ღია კარის დღე, სექტემბრის ბოლოს გაიმართება.

ჩვენს შესახებ

„ახალგაზრდა ადვოკატები“ წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპებისა და მიღებული წესდების (შინაგანაწესის, სტრატეგიული დოკუმენტებისა და ინსტრუქციების) შესაბამისად.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები/ინიციატივები 2012—2013 წლებში

1. პროექტი „საბჭოთა და პოსტ—საბჭოთა ქართული ანაბრების პრობლემის სამართლებრივი ანალიზი“, 2013
2. პროექტი „განათლების სისტემაში პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა სამართლებრივი დაცვა“ 2013
4. პროექტი „პარლამენტის წევრობის ახალგაზრდული ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“. 2012
5. კვლევა: „საქართველოს პარლამენტისა და მსოფლიოს საკანონმდებლო გამოცდილების შედარებითი ანალიზი“ 2012
6. პროექტი „საარჩევნო პროგრამების მონიტორინგი“, 2012
7. კვლევა: „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები“. 2012
8. კვლევა: „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობაში“ 2012
9. დასკვნა: „ტელეკომპანია „მაესტროს“ ქონების დაყადაღების საკითხის სამართლებრივი და ეკონომიკური შეფასება“, 2013

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლის ივლისიდან, აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას მიმართავს და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში. ორგანიზაცია ანხორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან. ამ მიმართულებით, „ახალგაზრდა ადვოკატები“ ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში, მონაწილეობს სამთავრობო უწყებებთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის შემადგენლობაში, თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, წარმოადგენს ახალგაზრდულ ალიანსს: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, ამზადებს თემატურ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მრგვალ მაგიდას აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. ამასთან, ორგანიზაცია ძირითად სტრატეგიად აცხადებს: ჩართულობას უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროცესში, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, კანონმდებლობის ექსპერტიზის, პროფესიული განვითარების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების, თვითმმართველობების ინსტიტუციური გაძლიერების, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის, მედია-ადვოკატირების, არჩევნების მონიტორინგისა და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში. ორგანიზაციის საქმიანობას ფართო ყურადღება ეთმობა მედიაში.

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers”არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ახალგაზრდა ადვოკატები”

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო: არჩილ კაიკაციშვილი, მარიკა არევაძე, თინათინ ნიბლოშვილი

ორგანიზაციის გუნდი: სოფიო ლეჟავა, მარიამ ნეფარიძე, ნინი ჯაჯანიძე, ნინო ღაჭავა, ნინი ისაკაძე, ანი კიკნაძე, ლევან ბერაძე, ჯაბა სირაბიძე, გიგა ასანიშვილი, როი გეთიაშვილი

სოფიო აზარიაშვილი - **საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი**; გუკა ბაკურაძე - **ოფისს-მენეჯერი**; გულო არევაძე - **ფინანსური მენეჯერი**

მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7;

E-mail: pryoungbarristers@yahoo.com, pryoungbarristers@gmail.com; Tel: 551 081803, 2 374509, 2374503; www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა ადვოკატები